საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 9098/01
26/08/2021

9098-01-2-202108261118

შპს „კოლხურ მოცვს“
მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი, N170ა
ელ.ფოსტა: lbolkvadze@sigmalegal.org

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 11 აგვისტოს N14294 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნარაზენის ტერიტორიაზე სამელიორაციო სისტემის მოწყობასა და ექსპლუატაციას. გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში ინფორმაცია წყალაღების კოორდინატის შესახებ წარმოდგენილი უნდა იყოს wgs-84 utm სისტემაში;
- სკრინინგია განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია მდ. ჯუმიდან აღებული წყლის გადანაწილების (რწყვის ჯერადობის) შესახებ (გრაფიკი);
- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ “მდინარე ჯუმის საშუალო წლიური ხარჯი შესართავთან შეადგენს 11,6 მ³/წმ-ს.” დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს აღნიშნული ინფორმაციის წყარო, ამასთან, სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია მდინარე ჯუმის ჰიდროლოგიის და ჯუმის წყლის ხარჯის შიდაწლიური განაწილების შესახებ წყალაღების კვეთში;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, მდინარიდან აღებული წყლის დაგროვება მოხდება სპეციალურ რეზერვუარში. დოკუმენტში დაზუსტებული უნდა იყოს აღნიშნული რეზერვუარის ტექნიკური პარამეტრები და ადგილმდებარეობა (GPS კოორდინატის მითითებით).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინებით განახლებული განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე